სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XX, 2022 წელი

ლალი გაბისონია[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

https://doi.org/10.52340/sou.2022.20.17

წმინდა გიორგის კულტი და ფიცი, როგორც მტკიცებულება, ძველ ქართულ სამართალში

აბსტრაქტი. საქართველოს ისტორია, ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა და ჩვეულებითი სჯული მრავალ საინტერესო ინფორმაციას ინახავს წმინდა გიორგის კულტთან დაკავშირებით. ძველ სამეგრელოში ღვთის სამართალი, კერძოდ წმინდა გიორგის სამართალი არსებულა. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირს რომელიმე ძლიერი-სასწაულმოქმედი ხატის წინაშე აფიცებდნენ, უმეტესად ეს წმინდა გიორგის ხატი იყო, ასევე ცნობილია წმინდა გიორგის ხატზე, სხვა საშუალებით დაუდგენელი დამნაშავის გადაცემის ფაქტები. ქართველი ის იშვიათი შემთხვევაა, რომელიც ხატზე გადაცემული, ვერანაირი სხვა გზით ვერ დადგენილი დამნაშავეც კი - წმინდა გიორგის ხატთან მოდიოდა დაჩოქილი, აღიარებითი ჩვენებით, რაც ღრმა რწმენის უტყუარი ნიშანია და წმინდა გიორგისადმი ქართველთა განსაკუთრებული მოწიწების, კრძალვის, სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატულებაა.

ჩვენს ნაშრომში ყურადღებას ამახვილებს ილორის წმინდა გიორგის ეკლესიასა და ხატისადმი ქართველთა დამოკიდებულებაზე, რაც მიუთითებს რომ წმ. გიორგის კულტი ქართული ჩვეულებითი სამართლის ნაწილი იყო. ნაშრომი პროცესუალური კუთხითაც საინტერესოა, განსაკუთრებით ქართული სამართლის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისთვის.

საკვანძო სიტყვები: წმინდა გიორგი, კულტი, ფიცი, მტკიცებულება, ძველი ქართული სამართალი.

---

[1] **ლალი გაბისონია,** სამართლის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლისა და დიპლომატიის ფაკულტეტის პროფესორი.

Lali Gabisonia[2]
Sokhumi State University

The Cult and Oath of St. George, as Evidence in Ancient Georgian Law

Abstract. Georgian history, ethnographic heritage and customary law contains a lot of interesting information about the cult of St. George. In ancient Samegrelo, there was a law of god, in particular the law of St. George. A person suspected of committing a crime was made to swear in front of any powerful- miraculous icons, mostly it was the icon of St. George. There are facts of criminals, otherwise not proven to be guilty, being handed down to St. George's icon. Georgian man is that rare case, when being handed down to an icon, even otherwise not proven guilty, would kneel before the icon, with confession and repentance, which is an obvious sign of deep faith, special awe and respect for St. George.

In our work, we pay more attention to the attitude of Georgians towards the church and icon of St. George in Ilori, which indicates that St. The cult of George was part of Georgian customary law. The work is also interesting from a procedural point of view, especially for readers interested in the history of Georgian law.

Our paper focuses on icon of St. George of Ilori. It is also interesting form procedural point of view, especially for reader interested in history of Georgian law.

Key words: Saint George, cult, oath, evidence, old Georgian law.

წმინდა გიორგის მიმართ განსაკუთრებული სიყვარულია საქართველოში, რაც აისახა არა მხოლოდ ქართველთა ყოფა-ცხოვრებაში, რწმენაში, პოეზიაში, მართლმსაჯულებაშიც კი. რასაც დღეს დანაშაულის პრევენციას ვუწოდებთ სამართალში, წმინდა გიორგის სამართლით იყო მოწესრიგებული. წმინდა გიორგის სასწაულმოქმედი ხატის წინაშე თრთოდა ყველა, დამნაშავეც და უდანაშაულოც, წმინდა გიორგის სამართლიანობაზე ხალხი ლეგენდებს თხზავდა, ეს ლეგენდები უსაფუძვლო ნამდვილად არ ყოფილა, წმინდა გიორგის მრავალ სასწაულს მიაწერენ, მას სძაგს ტყუილი და ცილისწამება, სძაგს ქურდი და ავაზაკი, მაგრამ უყვარს ადამიანი და ცდილობს გზას აცდენილიც შემოაბრუნოს წესიერი ცხოვრებისკენ, დღეს რომ სასჯელის ფილოსოფიაში გვიწერია რესო-ციალიზაცია, სწორედ რესოციალიზაციაზე აკეთებს აქცენტს ამ უცხოური სიტყვის დახმარების გარეშე. საქართველოს ყველა კუთხეს თავისი სასწაულმოქმედი წმინდა გიორგი ჰყავს. თედო სახოკიას მოგზაურობაში, სერგი მაკალათიას სამეგრელოს ისტორია და ეთნოგ-

[2] **Lali Gabisonia**, Doctor of Law, Professor of the Faculty of Law and Diplomacy of Sokhumi State University.

რაფიაში, ასევე სხვა მნიშვნელოვან წყაროებში ფასდაუდებელი მასალა დევს საქართველოს ცალკეული კუთხეების ყოფა-ცხოვრებისა და სიწმინდეებისადმი თაყვანისცემის შესახებ, რაც ქართველთა ეროვნული ცნობიერების განუყოფელი ატრიბუტია.განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო დასავლეთ საქართველოს შესახებ, კერძოდ სამურზაყანოს შესახებ მოცემულმა ცნობებმა, რომელშიც აღწერილია სამურზაყანოში, ილორის წმინდა გიორგისადმი დიდი კრძალვა და შიში, როგორც გლეხებში, ისე თავადებშიც და საზოგადოების ერთობ საინტერესო ფენად გვევლინებიან მწყემსები, მათი ყოფა-ცხოვრება და რწმენა, ჩემი ინტერესის ობიექტი, ამ შემთხვევაში, ეს უკანასკნელია, რადგან სამურზაყანოელი მწყემსის ოთხ დიდ ღვთაებაზე, ოთხ სიწმინდეზე წერს თედო სახოკია. ეს სიწმინდეებია: ილორის წმინდა გიორგი, „მიქამ-გარიო“ მიქელ-გაბრიელი, მთა და მზე.

„სანამ მთის გზას შეუდგებოდნენ, ყოველი მწყემსი თავის მოვალეობად სთვლის ილორის წმ. გიორგის (აფხაზეთშია, ოჩამჩირის ახლო) შეავედროს თავისი თავი და საქონელი: შენი წყალობა გაგვატანე, თუ უვნებლად ჩამოგვიყვან ჩემი საქონლითა, შენს კარზე (ილორის ეკლესიაში) ვერძს დაგიკლავო“ (სახოკია, 1950: 301). თუ სამურზაყანოელ მწყემსს მთაში რაიმე ხიფათი შეეყრებოდა, პირველ რიგში ილორის წმინდა გიორგის მიმართავდა თხოვნით: „მწყემსი ვინმე იყო სამურზაყანოში, უთვალავი ცხვრის ფარის პატრონი. გავიდა ზაფხული, მთაში ყოფნის დრო. მზეს სითბო მოაკლდა, სიცივე დაიჭირა. მწყემსმა თაყვანი სცა მთასა, დაირეკა ცხვარი და, ცოტა არ იყოს, სიხარულით დაადგა ბარის გზასა. ჯერ ისევ შიშველზე რომ დასაღამოჟამდა, წამოვიდა ბოლქვა-ბოლქვად ნისლი, ეს იყო განუყრელი ამხანაგი მთისა და საშინელი მტერი მწყემსისა, შიგ გაჰხვია ყველაფერი, გაჰხვია მწყემსის საყვარელი ცხვარიცა. შავი ღრუბლებით დაიხუნძლა ცა. იელვა, ქუხილი მოემატა გულშემზარავი. ცამ პირი მოიხსნა, კოკისპირული წვიმა დაუშვა, თითქოს წარღვნას უქადის ქვეყანასაო. მწუხარებით გაიწურა გული მწყემსისა, განსაცდელში ჩავარდა. კვნესითა და ნამდვილი მწყემსურის, მშობლიური გულმტკივნეულობით თავი მოუყარა ერთად, დაეყრდნო თავის ლაბაშასა და შეეცადა ფარისთვის ერთიანად შეეხედნა.იქნება უკანასკნელად ვხედავ ჩემს ცხვარსაო, იქნება (ღმერთო, მტრის გულისას ნუ გამხდიო!) მთლად შთანთქას აბობოქრებულმა ბუნებამ, ერთიც არ გადამირჩინოსო, იქნება მეც თან გადამიტანოსო... იქნება, გადავრჩე ცოცხალი, მაგრამ რაღად მინდა სიცოცხლე ჩემი ცხვრის შემდეგ, რად მინდა უბედური თავი უიმათოდ, რა გემო ექნება ეულს სიცოცხლესა? არა, თუ დაღუპვა უწერია ჩემ ცხვარსა, ისევ იმათთან ერთად მეც მიმიბაროს ჩემი მთის ცივმა არვაშებმა (ხრამებმა). ელვასავით გაურბინა ამ მწარე, ნაღველში ნალესმა ფიქრებმა და

თავის უკანასკნელ სახსარსა და ნუგეშსა მიმართა. შეევედრა მთასა, მთის გამჩენ ღმერთსა: მიხსენ გაჭირვებისგან, ნუ დამიღუპავ ამ წვითა და დაგვით, შვილსავით ნაზარდს და ნაამაგევს ცხვარსაო. თუ ცოცხალს გადაგვარჩენ, ილორის წმ. გიორგის კართან მივალ და ზვარაკს შემოვწირავ შენს სახელსაო (სახოკია, 1950: 290-291).

სამურზაყანოელი მწყემსები მთას თაყვანს სცემენ, როგორც უზენაეს არსებას. „შიშველს“ (შუშელი) - მთაში მწყემსები ისეთ მთას ეძახიან, სადაც ბალახის მეტი სხვა მცენარე არ არის. ბავშვობაში მინახავს ასეთი მთა სახელად შუშელი და ვიცი მისი სილამაზე, აფხაზეთის მთებში საქართველოს ბუნების მშვენიერება იწონებს თავს და მას შუშელი ჰქვია. „აქაური მწყემსი ფრიად სასოებით ეპყრობა მთას. მთის თაყვანისცემა და შიში კულტად აქვს გადაქცეული. აღმერთებს მთას, მიქამ-გარიოს საფარველ ქვეშ მყოფს, მასა ლოცულობს, მწყემსის ლაპარაკში ხშირად მოჰკრავთ ყურს „მთის მადლმაო - ვკითხე მწყემსებს, მთას რა მადლი აქვს, რომ იმას იფიცავთ-მეთქი? – მადლი როგორ არა აქვს მთასა? ისაა ჩვენი მარჩენალი. მთა რომ არ იყოს, მწყემსებიც არ ვიქნებოდით“ (სახოკია, 1950: 1950: 312).

სამურზაყანოში, გაზაფხულზე თურმე მწყემსები როცა პირველად ადიან მთაზე, საკლავს კლავენ პატივისცემის ნიშნად და მთის ლოცვას წარმოთქვამენ: ხანში შესული მწყემსი ხონჩაზე აწყობს საკლავის გულ-ღვიძლსა და ყველას მაგივრად მთას ევედრება: „ნუ მოგვაკლებ შენს წყალობას ჩვენ, ჩვენს ჯოგსა, რომლებიც შენს კალთაზე დავდივართ, მხიარულად და უვნებლად ჩაგვიყვანე ბარადო. მწყემსის აზრით, მთას შიშველ ტანს ვერ აჩვენებს კაცი, ეწყინებაო. ამიტომ არის, რომ ტანის ბანა მთაზე ცოდვად მიაჩნიათ. მაშინათვე განრისხდება მთა და წვიმა და ავდარი მოვაო. ჩემი იქ ყოფნის დროს ნისლი ხშირი იყო. მითხრეს, ეს სულ იმის ბრალია, რომ შენ ტანს იბან აქა და შიშველ ტანს მთას უჩვენებ. მთაზე ყოფნის დროს მწყემსები უწმაწურ სიტყვა-პასუხს ერიდებიან, – ესეც მთას ეწყინებაო. მთას საალერსო სიტყვები უნდა გავაგონოთ, სიმღერით დავატკბოთო. ქვაბს რომ გადმოაპირქვავებენ, ზემოდან ბალახს რასმე დააფარებენ, – ცამ შავი და მურიანი ძირი არ დაინახოს ქვაბისა, თორემ განრისხდება და წვიმით სულს ამოგვხდისო“ (სახოკია, 1950: 1950: 312). მწყემსებთან მთაში ალბათ ხშირად არა, მაგრამ სტუმარი მიდის ხოლმე, ერთი ასეთი სტუმრობის ამბავს აღწერს ავტორი და თვალწინ გადაგვეშლება საარაკო სტუმარ-მასპინძლობა ქართველი კაცისა, მთაშიც და ბარშიც რომ ერთნაირი მოწიწებით ხვდება სტუმარს, სტუმარი ხომ ღვთისაა და შესაბამის პატივს მიაგებენ მას, როგორც ბარში, ისე მთაში. სტუმრისადმი უდიდესი პატივისცემის გამოხატულებაა საკლავის დაკვლა, საკლავი უმალ დაიკლა და სტუმარს მოხარშული ხორცით, ნაირნაირი სანელებლებითა და

ახლადამოყვანილი თბილი ყველით გაუმასპინძლდნენ მწყემსები მთაში. საარაკოა მათი ურთიერთობა, დამოკიდებულების კულტურა და ცხოვრების წესი. მწყემსები კარვებად არიან დაყოფილი, ყოველს კარავს თითო უფროსი ჰყავს და თითო კერძაული. უფროსს მთელი კარვის ავ-კარგი ეკითხება, ხოლო კერძაულს საჭმელ-სასმელის განაწილება ეკითხება. ვიდრე სუფრას უსხედან, კერძაული ფეხზე მდგომი უმასპინძლდება სტუმრებს, სამაგიეროდ: „თიფუს უფროსმა ერთი ნაჭერი თავისი არჩივისა კერძაულს გაუგზავნა მადლობის ნიშნად. დანარჩენებმა უფროსს მიჰბაძეს; მეც, რა თქმა უნდა. ამგვარად ნა-თავაზევი ხორცი ბლომად შეუგროვდა კერძაულს. ყველა ნეშოზე დააწყო, ხელში დაიჭირა, წინ წამოდგა და ყველას მადლობა გადაგვიხადა, თქვენი ნახელავი გაისსაცო! კერძაული, სანამ ჩვენ ვისხედით, არ დამჯდარა, სულ თავს გვედგა, საჭმელი არა დააკლდეთ-რაო“ (სახოკია, 1950: 297). მკაცრად მოწესრიგებულია ყველა ტიპის ე. წ. ფათერაკი, რაც შეიძლება მთაში ყოფნის დროს ცხენს ან საქონელს შეეყაროს: „ხშირად მოხდება ხოლმე, რომ მთაზე ყოფნის დროს ცხენი კლდეში გადაიჩეხება. ამ შემთხვევაში მწყემსი ვალ-დებულია პატრონს მკვდარი ცხენის ტყავი მოუტანოს ნიშნად იმისა, რომ ცხენი მართლა მკვდარია და არა მოპარული, ან გაყიდული. მაშინ მწყემსი პატრონს არ უზღავს ცხენის საღირალს“ (სახოკია, 1950: 302). ასეთივე საინ-ტერესოა მეოთხე ღვთაებისადმი მწყემსის კრძალვა და პატივისცემა, მზე, როგორც მას სამურზაყანოში და ზოგადად სამეგრელოში უწოდებენ-ბჟა, კვი-რის დღეებსაც მეგრულში ხომ ციური მანათობლების სახელები ჰქვიათ-თუთაშხა-მთვარის დღე ანუ ორშაბათი, ცაშხა-ანუ ცის დღე-ხუთშაბათი, ჟაშხა ანუ ბჟაშ დღა ანუ კვირა და სხვა. მზის მადლს ფიცულობს სამურზაყანოელი მწყემსი და ამით თავს იზღვევს ყოველგვარი ფათერაკისგან: „ხშირად გაი-გონებთ: „ბჟაშ მარდი მა- (მზის მადლი მე), ან და „უშულადუ ბჟაშ მარდი მა- (დაუღალავი მზის მადლი მე). რომ ვკითხე, მზეს რად-ღა ჰფიცულობთ-მეთქი, იმათ მიპასუხეს: – ისიც ღმერთია: გვათბობს, თოვლს ადნობს მთა-ზე, ბალახს ამოსვლის დროს ხელს უწყობს. მზე რომ არ იყოს, საქონელი სი-ცივით გაგვიწყდებაო“ (სახოკია, 1950: 297). ერთმა საინტერესო ფაქტმა მიი-ქცია ჩემი ყურადღება, თედო სახოკია ოჩამჩირის რაიონის მოსახლეობის ეთ-ნიკურ შემადგენლობას აღწერს, ამ ფაქტს გვერდს ვერაფრით ავუვლიდი, მით უფრო, რომ ისტორიიდან ცნობილია, ოჩამჩირე და არა მხოლოდ ოჩამჩირე, მთელი სამურზაყანო, სამეგრელოს სამთავროს შემადგენელი ნაწილი იყო, აი რას წერს თედო სახოკია: „მცხოვრებნი ორივე სქესისა ოჩამჩირეში დღეს 608 სული ითვლება. ამათში 26 კომლი ლაზია, 3 – ბერძენი, 1 – სომეხი და 1-იც პოლონელი, დანარჩენი მეგრელები არიან. სალაპარაკო ენა მეგრუ-ლია, თუმცა ქართულიც ყველამ იცის. მეგრელებში (მეტადრე ვაჭრებში)

ბევრია ბერძნული და თურქული ენების ზედმიწევნით მცოდნენიცა. თითო-ოროლამ ბერძნული წერა-კითხვაც იციან, საყველ-პურო თურქული თითქ-მის ყველამ იცის. ვაჭრობაში პირველი ადგილი მეგრელებს უჭირავთ“ (სახო-კია, 1950: 266-267. ელექტრონულ ვერსიაში, ხოლო ორიგინალში გვ. 252).

ილორის წმინდა გიორგისადმი განსაკუთრებული კრძალვა მეგრელი გლეხისთვის ჩვეული ამბავია, ერთი სამურზაყანოელი გლეხის კარმიდამოსა და ცხოვრების წესზე გვიამბობს თედო სახოკია თავის მოგზაურობაში და ასეთ საინტერესო დეტალს აფიქსირებს: „ამათს გარდა, ამ გაცრეცილი ზან-დუკის რომელიმე მიმალულ კუთხეში კიდევ უნდა დებულიყო თაფლის სან-თლის ნაჭერზე მიკრული ორშაურიანი თეთრი ფული, გუძას სახლის ერთ-ერთი წევრის ავადმყოფობის დროს ილორის წმ. გიორგისათვის შეწირული და ავადმყოფის თავზე შემოვლებული, ორი ან სამი აბაზი, ათას ალაგას გა-მოკრულ-გამონასკვილი,- „შავი დღისათვის - გამოზოგვილი“ (სახოკია, 1950: 287). ამ საკითხს არაერთხელ შევხებივარ, მაგრამ ამჯერადაც უნდა აღვნი-შნო, არა მხოლოდ გლეხები, აზნაურნიც და უაზნონიც, ილორის წმინდა გი-ორგის ერთნაირად სცემდნენ პატივს. ძველი ქართული სამართალი იცნობს დანაშაულის გახსნის ისეთ მეთოდს, როგორიც არის ორდალია, ორდალიათა არაერთი სახე იყო გამოყენებული ძველ ქართულ სამართალში მდუღარით გამოცდა, შანთი, ორთაბრძოლა, ცალი ხელით ხეზე დაკიდება და იშვიათია ერი, სადაც ფიცი მტკიცებულების რანგშია აყვანილი, რადგან ქართველი კაცი ხატზე თუ დაიფიცებდა, აუცილებლად სიმართლეს იტყოდა, ამ სასწაუ-ლმოქმედ ხატებს შორის განსაკუთრებული ადგილი, სრულიად დამსახურე-ბულად - წმინდა გიორგის ეკუთვნის. თუ სამხილებელი ნიშნები ძალზე სუსტი იყო ანუ ფაქტობრივად შეუძლებელი ხდებოდა ნივთმტკიცებით თუ მოწმის ჩვენებით დამნაშავის მხილება, ეჭვმიტანილს ეძლეოდა შესაძლებლობა თავი მხოლოდ ფიცით ემართლებინა. ფიცი მას რომელიმე სასწაულმოქმე-დი ძლიერი ხატის წინაშე უნდა დაედო, ხატს მომჩივანი ირჩევდა, მომჩივანი ირჩევდა იმ ეკლესიას, სადაც ფიცი უნდა დადებულიყო, რადგან ითვლებო-და, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ეჭვმიტანილი მოვაო, ფიცის წინა დღეს, დაუჩოქებს ამორჩეულ ხატს და შეევედრება, რითაც ცრუ ფიცისთვის წინას-წარ პატიებას სთხოვსო, „რომ არ განმირისხდე ამისათვის მოგართმევ ამას და ამას... და როცა მიიყვანებენ იმავე ხატის წინაშე, თავისუფლად დაიფი-ცავს ტყუილს“ (ლამბერტი, 1938: 75). ხევსურეთში კი დაზარალებულები (მო-სარჩელეები) ბრალდებულის (მოპასუხის) დაფიცებას მისივე „ხატში“ (ჯვარ-ში) ამჯობინებდნენ. ეს გასაგებიცაა, რადგან ყველაზე მეტი შიში და კრძალვა ხევსურს იმ ჯვარისა ჰქონდა, რომლის ყმაც იყო. ასევე იყო ფშავშიც. ვაჟა ფშა-ველას თქმით, „ფშაველისათვის ყველაზე ძლიერი ფიცი თავისი თემის ხა-

ტის დაფიცებაა, აქედან გამომდინარე, რχული ბრალდებულს უმეტესად იმ „ხატში“ (χვარში) აფიცებდა, რომლის ყმაც იგი იყო“ (დავითაშვილი, 1998: 55). თედო სახოკია თავის ეთნოგრაფიულ ნაწერებში ფასდაუდებელ მასალას გვაძლევს წმინდა გიორგის კულტთან დაკავშირებით სამეგრელოში. ძველ დროში ღვთის სამართალი, კერძოდ ჩვენს შემთხვევაში წმინდა გიორგის სამართალიც არსებულა. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ეჭვმიტანილს რომელიმე ძლიერმოქმედი-სასწაულმოქმედი ხატის წინაშე უნდა დაედო ფიცი. სწორედ ასეთი სასწაულმოქმედი ხატი იყო ილორის წმინდა გიორგის ხატი: „სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს, რომ ილორის წმინდა გიორგის სახელი საფიცრად არის გამხდარი ყველა მეგრელისათვის... ილორის წმინდა გიორგის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს მეგრელთა ცხოვრებაში ხეთის წმინდა გიორგის“ (სახოკია, 1956: 108). სამეგრელოს ისტორიულ მიწაზე, სოფელ ილორში დღესაც დგას წმინდა გიორგის ეკლესია, რომელმაც არაერთი ვანდალიზმი განიცადა რუსული ოკუპაციის შემდგომ, არაერთხელ გადაიღება მისი კედლები და რუსულ ყაიდაზე გადაკეთდა მისი გუმბათი, რითაც ამ კულტურის ძეგლსა და ქართველთა სულიერების სავანეს გამოუსწორებელი ზიანი მიადგა. სოფელი ილორი მდებარეობს დღევანდელი აფხაზეთის ქალაქებს გალსა და ოჩამჩირეს შორის, ამ ორ ქალაქს რამდენიმე სოფელი ჰყოფს, მათ შორის ერთ-ერთია უძველესი სოფელი ილორი, სწორედ ილორის წმინდა გიორგის ხატზე აფიცებდნენ ეჭვმიტანილს. ილორის წმინდა გიორგის ხატის მრევლი იყო ჩემი პაპა მიხეილ მებონია, რომელიც დასაფლავებულია აფხაზეთში და მის საფლავს ვერ მივაგებთ საკადრის პატივს მას შემდგომ, რაც აფხაზეთი ოკუპირებულია - აგერ თითქმის სამი ათეული წელია. მისი ვაჟი, ჩემი ბაბუა წამებით მოკლეს სეპარატისტებმა 1993 წლის დეკემბერში, მას მხოლოდ ერთი დანაშაული „დაუდგინეს“ - ქართველი იყო და იმ მიწის აბორიგენი მოსახლე, სხვა არაფერი. მიხელ მებონია, ყოველ კვირა დღეს, გალიდან ფეხით მიდიოდა ილორის ტაძარში, რათა ილორის წმინდა გიორგისთვის პატივი მიეგო, ბედნიერი ვარ, რომ მოვესწარი ამ დიდებულ ადამიანს, ნათლად მახსოვს იგი, დაახლოებით ხუთი წლის ვიყავი, როცა გარდაიცვალა. თუ ილორის ეკლესიაში მიდიოდა არ იმგზავრებდა ავტომანქანით ან ცხენით, - უფლის საბრძანებელში ფეხით უნდა მივიდეო -იტყოდა. ღრმად მოხუციც ასრულებდა ღვთისა და წმინდა გიორგის წინაშე დადებულ აღთქმას - ყოველ კვირა დღეს ხლებოდა თავისი ფეხით ილორის სასწაულმოქმედ წმინდა გიორგის, მისთვის არაერთი შესაწირავი შეუწირავს, სურვილად და თხოვნად „ხვამა“ ქონდა - ჩემი შვილები და მათი შთამომავლები მიდღეგრძელეო, სხვა თხოვნით არ აწუხებდა თურმე. ბედნიერი ვარ იმით, რომ მისი დალოცვის მადლი მეც მერგო წილად. ბაბუაჩემი აგრძელებდა

ილორის წმინდა გიორგის სახელზე ოჯახის დალოცვის მამისეულ ტრადიციას, ასეთი „ხვამა“-ს მომსწრე მეც არაერთხელ ვყოფილვარ და უკანასკნელი „ხვამა“ გადაიხადა 1993 წლის ივლისის თვეში, ყველანი ერთად შეგვაგროვა იმ ომის ქარცეცხლში და დაგვლოცა, საკლავი შემოგვავლო, „ბაბუ ამ დალოცვის მერე მხოლოდ ერთხელ ვნახე, მერე სოხუმი დაეცა, გალიც მალევე დაიცალა და იმავე, 1993 წლის დეკემბერში, ბაბუა, მშობლების საფლავის მოსანახულებლად გადასული ენგურიდან გალში დაიჭირეს სეპარატისტებმა, სასტიკად აწამეს და ორთვიანი ძებნის შემდეგ, მოკლული და ნაწამები იპოვეს სანგარში (აკოპი) მიგდებული.

ე. წ. ხვამა, წმინდა გიორგის სახელზე გაკეთებული შესაწირავია, ასეთ რიტუალს ასრულებდა ჩემი დიდი პაპა და შემდგომ მისი შთამომავალი -ბაბუაჩემის ოჯახი, აუცილებლად იყოლიებდნენ ოჯახში მსხვილფეხა საქონელს, მოგებულ დეკეულს დაკლავდნენ, ამზადებდნენ უსუფთავესად, ხორცი იხარშებოდა, ოჯახში რამდენი წევრიც ვიყავით, იმდენი კვერი ცხვებოდა ვაზის ფოთოლზე, საკლავის გულ-ღვიძლი და ეს კვერი თითოეულს თავისი წილი უნდა რგებოდა, მაგრამ ჯერ ინთებოდა სანთლები, ოჯახში საგანგებოდ დაყენებული შავი ღვინის თასით ხელში ოჯახის უფროსი მამაკაცი წარმოთქვამდა წმინდა გიორგის ლოცვას და თხოვნას მეგრულად, რაც ფაქტობრივად ჩვენი დალოცვა იყო, ამის შემდეგ პირველ ლუკმას ანუ ჩვენს სახელზე გამომცხვარ კვერსა და გულ-ღვიძლის თითო ნაჭერს მივირთმევდით მეგრულ სუნელთან ერთად, შემდგომ იღებოდა ჭიშკარი, საგანგებოდ გაშლილ სუფრას უამრავი კულინარიული სილამაზე ამშვენებდა, წინასწარ არვის პატიჟებდნენ ამ დღეს, ჭიშკართან შემთხვევით გამვლელს შინ შემოიპატიჟებდნენ, და ეს სურსათ-სანოვაგე მთლიანად გაილეოდა ამ დღეს, არ იყო ღრეობა, არც სიმთვრალე, ყველა სტუმარი დალოცავდა ილორის წმინდა გიორგის და ოჯახს თითო ჭიქით, მიირთმევდა ხორცს და განაგრძობდა გზას. საკლავის ძვლებს სუფთა ალაგას მარხავდნენ და არც ცხოველს პირი არ უნდა დაეკარებინა შესაწირად მომზადებული კერძებისთვის. საკლავის ტყავს აბარებდნენ, მისგან მოგებულ ფულს თეთრ ხურდებად მიართმევდნენ ილორის წმინდა გიორგის, რატომ არ ვიცი, მაგრამ ჩემი წინარპები თვლიდნენ, რომ ილორის წმინდა გიორგისთვის თეთრი ლითონის ფული უნდა შეეწირათ. დღემდე მომყვება ამგვარი დღეების მადლი და ლოცვა. ასეთ „ხვამაზე“ ჩემი პაპა მხოლოდ ერთ სტუმარს მოიპატიჟებდა წინასწარ, ფეხით მოსიარულე სალოსი იყო ხურჯინითა და თეთრი წვერით, სახელად ევგე ერქვა, გვარიც ვიცი, მაგრამ შეგნებულად არ ვასახელებ, ევგე არასდროს მიუჯდებოდა სუფრას ხალხთან, ამიტომ ჩემი პაპა უკანა აივანზე ბებოსა და დიდედას საგანგებო ტაბაკზე (ტაბლა) აშლევინებდა სუფრას ევგესთვის, მახსოვს ამ ორი საოცარი მოხუცის

მშვიდი, ბრძნული საუბრები ტაბაკთან, ყველასგან მოფარებულად უკანა აივანზე. მოკრძალებული კაცი იყო ევგე, მაგრამ ბრძენი, ამიტომ ნიჭიერებითა და ღვთისნიერებით გამორჩეული, ჩემს დიდ პაპას მუდამ საგანგებო სტუმრად ჰყავდა მოპატიჟებული. ბავშვებს დიდად ყურადღებას არ გვაქცევდნენ ამ დროს, ჩვენ ხომ პატარები ვიყავით და უკანა ეზოში უბრალოდ ვთამაშობდით, ბავშვს ყველაფერი ესმის, ბავშვი ყველაფერს ხედავს, წინაპართა ასეთ მაგალითებს ბავშვი ისრუტავს და იმახსოვრებს, მერე ცხოვრების საგზლად გადაიქცევს ამ მადლს და ყველა სიძნელეს უმკლავდება, მას ხომ წინაპრის ლოცვა და მადლი აძლიერებს, ამგვარი ტრადიციების საკუთარი თვალით ხილვის სასწაული ძალას ჰმატებს. ბავშვებს ანგელოზებად მოგვიხსენიებდნენ, არ მახსოვს მათგან არც ერთი საყვედური ან მკაცრად ნათქვამი სიტყვა, მხოლოდ სითბო და სასწაული სიბრძნენარევი სიდინჯე, თითქოს წინასწარ ხედავდნენ რა გველოდა წინ და წინასწარ შესთხოვდნენ ილორის წმინდა გიორგის ჩვენს გადარჩენას. ასეთი საოცარი მრევლი ჰყავდა ილორის წმინდა გიორგის, მისი დღემდე ძალიან ეშინიათ, მახსოვს ილორის წმინდა გიორგის ტაძარი, არც ერთხელ ისე არ გაგვივლია მის გზაზე, რომ ტაძარში საგანგებოდ არ შევსულიყავით და სამადლობელი ლოცვა არ აღგვევლინა წმინდა გიორგისთვის. სხვათა შორის, შესასვლელთან იდგა თეთრი ქვის ფილა, რომელზეც მეგრულად და ქართულად ეწერა - წყევლა არ შეიძლებაო, „ჭყალა ვა შინერსი“, მიზეზი ჩემთვის ნათელია, ილორის წმინდა გიორგი იმდენად ძლიერი იყო, რომ არათუ წყევლა, ცრუ ფიცის შიშსაც შეეძლო კაცი მოეკლა, იმდენად დიდი იყო მისი შიში და რწმენა.

ილორის წმინდა გიორგის ეკლესია XI საუკუნის პირველ ნახევარშია აგებული, XVII საუკუნეში იგი სახელგანთქმულ ლევან II დადიანს შეუკეთებია, ილორის წმინდა გიორგის სასწაულმოქმედი ტაძარი თურქებს გადაუწვავთ, დადიანებმა კვლავ აღადგინეს და დაუბრუნეს სიცოცხლე. „გამოსდის მასვე კავკასს, დის დასავლეთად და მიერთვის ზღვას ილორს. ხოლო ზღვის კიდე - ზედ, ამ წყლის დასავლითს კიდეზედ, არს ი ლ ო რ ს ეკლესია წმიდის გიორგისა. ამას უდის აღმოსავლით ეგრისი, დასავლით მდინარე მოქვისა, და უძევს სამჯრით ზღვა და ჩდილოთ ველი. არს ეკლესია უგუნბათო, მცირე, მდიდარი და შემკული. არამედ სილოვანობის გამო, რათა არა შეირყეს ეკლესია, მოუღიათ ქვა დიდ-ფრიადი, ფიქალი და მას ზედა შენი არს სრულიად ეკლესია. აქ მოიყვანს ჯარს ყოველწლივ ი ნოემბერს, რომელსა დაჰკულენ და განიყოფენ მეფე დიდებულებითურთ. გარნა არს ფრიად სასწაულთმოქმედი ჭეშმარიტსა ზედაცა. არამედ მოსწვეს ოსმალთა ეკლესია ილორისა ქრისტესსა ჩღლგ, ქართულსა უკა“ (ვახუშტი, 1941: 210). ამ ტაძრისა და ილორის წმინდა გიორგის მნიშვნელობა ფასდაუდებელია მრავალი ასპექ-

ტით, ილორის წმინდა გიორგის ტაძრის წარწერებში იკითხება ქართული დამწერლობის ყველა ნიმუში, ვხვდებით ასომთავრულს, ნუსხა-ხუცურს, მხედრულს, თითქოს განგებ დატოვა მემატიანემ ეს ნიმუშები ქართული დამწერლობისა, ერთდროულად არის დაწერილი და უფრო მეტიც - ერთი და იგივე პირის მიერ არის შესრულებული. ილორის ტაძარი წმინდა გიორგის სასწაულმოქმედი ხატის გარდა ინახავდა წმინდა გიორგის ნაქონ ნივთებს მშვილდს „შქვილი, რომელიც რკინისაა და ერთ მეტრამდე აღწევს“ (მაკალათია, 1941: 348). და ბუკს - „საყვირი სპილენძისა ოყე და წმ. გიორგისადმი შეწირული ბორზალი“ (მაკალათია, 1941: 348). სახელგანთქმული ბედიის ბარძიმიც ამ ტაძარში ინახებოდა, ბევრ სხვა სიწმინდესთან ერთად. მართლმსაჯულია ილორის წმინდა გიორგი, სავსებით დამსახურებულია მისი ეს წოდება, თქმულების თანახმად, საქმის გარჩევის დროს, როცა მოდავე მხარეები ილორის წმინდა გიორგის მიმართავდნენ მტყუან-მართლის გასარჩევად, მათ შორის ოქროს სასწორი (მართლმსაჯულების მთავარი სიმბოლო-საზომი-ეტალონი) ეშვებოდა ილორის ტაძრის თაღიდან, მოდავე მხარეებს ამ სასწორქვეშ აყენებდნენ, ილორის წმინდა გიორგისადმი სავედრებელ ლოცვას აღავლენდნენ და სასწორის პინა გადაიხრებოდა მართალი მხარისკენ. ილორის ტაძარს მრავალი მლოცველი აკითხავდა, სადღესასწაულო დღეებში არა მხოლოდ მეგრელები, აფხაზები და სვანებიც ესწრებოდნენ ილორობას თუ გიორგობას. ასევე ცნობილია შესაწირი ხარის ამბავი, დღესასწაულებზე უამრავი ადამიანი იყრიდა თავს ტაძრის ეზოში, როცა შესრულდებოდა საეკლესიო ტიპიკონით დადგენილი წესი, მლოცველები ტაძრიდან შინ ბრუნდებოდნენ, ტაძრის გალავნის კარიბჭეს რაზავდნენ, ამბობენ, რომ სამეგრელოს მთავარი დადიანი თავად ადებდა ბეჭდს გალავნის კარიბჭეს, დილას კი კარი გახსნილი ხვდებოდათ, ტაძრის ეზოში შესაწირი ხარი დინჯად ელოდა საკუთარ ხვედრს ან პირიქით-წინააღმდეგობას უწევდა, ამ ყველაფერს თავისი ახსნა ჰქონდა, რაც არქანჯელო ლამბერტს ზედმიწევნით აქვს აღწერილი სამეგრელოს აღწერაში (ლამბერტი, 1938: 127-129). წინასწარ იყო დადგენილი, თუ რომელი ნაჯახით დაიკვლებოდა წმინდანის შესაწირი, ასევე წინასწარ იყო გარკვეული, ვის რა წილი ერგებოდა შესაწირავიდან: მთავარს ხარის რქები, რომელსაც შესაბამისად ამუშავებდნენ და ყანწებად აპირკეთებდნენ ოქროვერცხლით, ასევე ხორცის დიდი ნაწილიც დადიანის იყო, დანარჩენს უნაწილებდნენ სამღვდელოებას და ხალხს. ილორის წმინდა გიორგი არა მხოლოდ სამართლიანი მართლმსაჯულია, იგი მკურნალიც არის უშვილოთა და სულით ავადმყოფთა, აგრეთვე მოჯადოვებულთა, ლამბერტი და სერგი მაკალათია დეტალურად აღწერენ ამ რიტუალებს და შესაბამის ლოცვა-შელოცვებს (მაკალათია, 1941: 348-358). ილორის წმინდა გიორგის გარდა

ცნობილია ალერტის წმინდა გიორგიც, რომელზეც ხდებოდა დამნაშავეთა გადაცემა, ალერტის წმინდა გიორგი, ილორის წმინდა გიორგის ძმა არისო, ამბობდნენ ხალხში: „ხალხური გადმოცემით ალერტისა და ილორის წმინდა გიორგი ძმებიაო“ (მაკალათია, 1941: 363). გარდა ილორის და ალერტის სასწაულმოქმედი ხატებისა, სამეგრელოში კიდევ იყო წმინდა გიორგის სხვა სასწაულმოქმედი ხატები, როგორც აღნიშნავს კორნელი ბოროზდინი: „სუჯუნას ძველს ეკლესიაში ესვენა სასწაულმოქმედი ხატი წმინდა გიორგისა. მეგრელთა ამ მფარველთან მოჰქონდათ შესაწირავნი, მის სახელს მიაწერდნენ ხშირ მოსახლეებთან მამულებს და ყმებს, რომელთა შორის იმყოფებოდა ებრაელთა ახალშენიც; წმინდა გიორგისთვის ებრაელები ოდესღაც ერთს მთავართაგანს შეუწირავს და ესენიც წმინდა გიორგის გადასახადს თაფლის სანთლით წესიერათ იხდიდნენ“ (ბოროზდინი, 1854-1861: 80).

ხევსურეთში ხატზე დაფიცების ორი წესი არსებულა ცერემონიული და უცერემონიო: „დაფიცების რიტუალის შესახებ ინფორმაციას გვაწვდიან რაფიელ ერისთავი და ა. ზისერმანი, ორივე ავტორი აღნიშნავს, რომ არსებობდა ორი სახის დაფიცება, როცა ბრალდებული მარტო იფიცებს და იფიცებს მოწმეებთან ერთად. მოწმეების ქვეშ თანამოფიცრები იგულისხმება, ზისერმანი პირველი სახის ფიცს უცერემონიო ფიცს უწოდებს, მეორე სახისას კი ცერემონიულ ფიცს“ (დავითაშვილი, 1998: 57). სამეგრელოში ფიცთან დაკავშირებით ბატონი გიორგი ნადარეიშვილი ერთ საყურადღებო ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას. ეს არის ე. წ. „ემალუ კოჩი“, ამავალი კაცი. „გამოთქმა ამავალი კაცი არ ჩანს აღმოსავლეთ საქართველოში, იგი დასავლეთ საქართველოშია წარმოშობილი. გამორიცხული არ არის, რომ ის წარმოიშვა მეგრულ-იმერულ-გურული მოსახლეობის წიაღში. ემალუ კათა, ემალუ კოჩი. სასამართლო მოპასუხეს ავალებს, რომ მან დაიფიცოს სუფთა თავისი ტოლი კაცი-ემალუ კოჩი თან ჩაიტანოს თუ თავისი ტოლი კაცი ვერ იშოვნოს, ამავალი ვაჭარი თან ჩაიტანოს და ისე დაიფიცოს (ნადარეიშვილი, 1997: N5-6). როცა ეჭვმიტანილი ხატზე დაიფიცებდა თავის სისწორეს, ე. ი. დაზარალებული ვერ აღმოაჩენდა თავისი ცხენების თუ სხვა ქონების ქურდს, სამეგრელოში არსებული ჩვეულებით იმდენის გადახდა მოუწევდა, რომ დანაკარგის ღირებულება ამის მეოცედიც არ იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში დაზარალებული ხატზე გადაცემას მიმართავდა, რომ წმინდა გიორგიმ მოძებნოს ქურდი და ქურდს მისი კისრიდან ამოაღებინოს ზარალი. დაზარალებული ცდილობს, რომ ეს ხატზე გადაცემა რაიმე ეკლესიისთვის მნიშვნელოვან დღეს დაამთხვიოს, სწორედ ასეთი დღე იყო ხეთის წმინდა გიორგის დღეობა - 23 აპრილი, ილორის წმინდა გიორგის დღესასწაული 20 ნოემბერი, ახალი სტილით 10 ნოემბერი-ო მიუთითებს ლამბერტი, ალერტის წმინდა გიორგის ხატობა 23

აპრილი და გიორგობისთვის 10 რიცხვი იყო: „წინდაწინ მეხატულთან მოლა-პარაკებული მთხოვნელი მოდის დღეობაზე, მოისმენს წირვას და წმინდა გიორგის კარს მისულ ზღვა ხალხში გაერევა „გადაცემის“ (გინოჩამა) მოლოდინში. სალოცავად მოსული ხალხი ეკლესიიდან გამოსულა, გულისფანცქალით მოელის „გადაცემის“ (გინოჩამა) მოსმენას. ე. ი. წმინდა გიორგისთვის მინდობას დამნაშავის დასჯისა. გადაცემას უეჭველად უნდა მოჰყვეს სასწაულის გამოჩენა: ქურდის აღმოჩენა და მისი მიყვანა სიკვდილის პირად, სანამ გადამცემი და დაზარალებული დამნაშავეს არ შეუნდობს და თავს არ დააალოცვინებს იმავე წმინდა გიორგის სახელით“ (სახოკია 1956: 108). იდუმალი ქურდიც ამ ხალხში ტრიალებს, სალოცავად მოსულთა შორის დგას და ისმენს ხატზე გადაცემის შემზარავ სიტყვებს, ამ წუთიდან იგი მოსვენებას კარგავს, მას ღვთის შიში შეიპყრობს, ჩავარდება ლოგინად და აბოდებს მოპარული ცხენების თუ სხვა ნივთის ამბავი, სთხოვს სიზმარში, წმინდაო გიორგი მაპატიეო, ცხადშიც წმინდა გიორგის ევედრება პატიებას, ერთი სიტყვით, ქურდი იძულებულია გაგზავნოს შუამავლები (მოციქულები) დაზარალებულ მხარესთან, მართალია ოსტატურად იქურდა, ისე რომ ვერავინ დაადგინა მისი ვინაობა, მაგრამ წმინდა გიორგის ძალას ვერ დაემალა. ქურდის შუამავლები შენდობას „ალობას“ სთხოვენ დაზარალებულ ოჯახს და შენდობის მისაღებად თავზე ფულის შემოვლებას ეხვეწებიან, ჰპირდებიან ნაქურდალის ორმაგად ანაზღაურებას. დაზარალებულიც გახარებულია ქურდის აღმოჩენით და თანხმდება შუამავალთა პირობას, მიდის ქურდის სახლში, თავზე ფულს შემოავლებს და სთხოვს წმინდა გიორგის მის მორჩენას. შემდეგ დამნაშავე და დაზარალებული ოჯახები მიდიან წმინდა გიორგის ეკლესიაში, მიაქვთ ძღვენი, საქმეში ჩარევენ მეხატულს და სთხოვენ აპატიოს დამნაშავეს, ნუ მოჰკლავს, ძღვენს მიართმევენ ხატს, ფულს აძლევენ მეხატულს, ნაპარავი ნივთის ორმაგ ღირებულებას აძლევენ დაზარალებულს. ასე მთავრდება დავა. „ეს არის წმინდა გიორგის მიერ თავის ქვეშევრდომთა გასამართლება. სცენაზე ყველაფერია: უზენაესი მოსამართლე, ძღვენი, ქრთამი, ურომლისოდაც არაფერი კეთდება, ამ ძღვენის წყალობით ხდება წმინდა გიორგის მიერ ამ ქვეყნად მცხოვრებთა შინაურ საქმეებში გარევა, მათი შეკავება ავის საქმეებისაგან, მათი დამორჩილება, კონტროლი მათი საქციელისა, ერთგვარი აღვირის ადება, ელემენტარული შეგნებისა სოციალური ურთიერთობის კანონებისა“ (სახოკია, 1956: 108). აღწერილი რიტუალი არაერთ საუკუნეს ითვლის, ეს არის კიდევ ერთი მტკიცებულება სოციალური ნორმების ძლიერი ზემოქმედებისა მართლწესრიგზე და საზოგადოებრივ ცნობიერებაზე. ჩვეულებითი სჯულით შემორჩენილი ეს წესი იყო გარანტია მართლწესრიგისა. არ ყოფილა შემთხვევა, იდუმალი დამნაშავე გადაეცეთ სამართ-

ლის დასადგენად წმინდა გიორგის სასწაულმოქმედი ხატისთვის და დანაშაული არ გახსნილიყოს, თუმცა პროცესიც ამ შემთხვევას ითვალისწინებდა და მხარეთა შერიგებას ცდილობდა, ნაცვლად დასჯისა, რადგან დამნაშავემ - ვერ დადგენილმა, ფაქტობრივად იდუმალმა დამნაშავემ წმინდა გიორგის ხატის წინაშე ქედი მოიხარა და ჩადენილი ავაზაკობა თუ ქურდობა აღიარა. ილორის წმინდა გიორგის ხატზე გადაცემული ქურდი, გადაცემის ტექსტის მოსმენით შეძრწუნებული, თუ დანაშაულის აღიარებას ვერ ბედავდა, ნაქურდალს მიიტანდა და ჩაჰყრიდა ილორის ტაძრის ეზოში, ამ შემთხვევაში ნაქურდალი დაზარალებულ მხარეს არ უბრუნდებოდა, ყველაფერი ილორის ეკლესიას რჩებოდა. განსაკუთრებით აქტუალური იყო ხარის ქურდობა, ილორის ტაძრის გალავანთან იდგა ცაცხვის ხე, დაზარალებულ მხარეს მიჰქონდა მოპარული ხარის უღელი, მიაკრავდა ცაცხვის ხეზე და წარმოთქვამდა წყევლას: „ამ უღლის ხარები ვინც მოიპარა, წმ. გიორგი ილორისაო, მისი ოჯახი დაამხე, ვაჟი გაუგიჟე და აყვირე ჩემი სახელი, ვიდრე ხარს არ მოიყვანს, ეს უღელი არ მოხსნას და უღელში შებმული ხარი ჩემს ოჯახში არ მოიყვანოსო“ (მაკალათია, 1941: 354). ფშავის ჩეულებითი სამართალიც იცნობს იდუმალი დამნაშავის ხატზე გადაცემის ანალოგიურ რიტუალს, საქმე ძირითადად ქურდობას შეეხებოდა. დავით ჯალაბაძე მიუთითებს მსგავს რიტუალზე: „ თუ ეჭვი ჰქონდათ ვინმეზე... მას ხატზე მიიყვანდნენ. აქ მომჩივანი მოუყვანდა საკლავს და მიუტანდა სანთელ-სასმელს. ხევისბერი დააფიცებდა მომპარავს, მომპარავი თუ დაიფიცებდა, თუკი ამის ჩამდენი ვიყო, საშველი არ მქონდესო, მოჭრიდნენ საკლავს თავს, ჩაქრებოდა სანთლები, დაიღვრებოდა სასმელი და დარისხდებოდა ეს კაცი... ჯერ ხევისბერი ადგებოდა და იტყოდა: თუ ის, რასაც შენ გაბრალებენ, მართალია, წყეული და შეჩვენებული იყავი, ის კაცი ამინ-ამინო იძახდა“ (ქჩს, 1993: 112).

წმინდა გიორგი არა მხოლოდ დამნაშავეებს გამოავლენდა, ცილისმწამებელთა მიმართაც ჰქონდა შემაკავებელი ძალა, თუ ვინმეს რამეს დააბრალებდნენ და მისი დანაშაულის დამტკიცება სხვა იურიდიული ხერხებით შეუძლებელი იყო, ბრალდასადებს ანუ ეჭვმიტანილს ძლიერი ხატის წინაშე უნდა დაეფიცებინა თავისი უდანაშაულობა. თედო სახოკიას აღწერილი აქვს ერთი ასეთი დაფიცების წერილობითი დოკუმენტი, რომელიც 1879 წლით არის დათარიღებული. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ სოფელ ხეთის მცხოვრებ გვარდღაბია კუკავას დაუბრალებია ხეთის მკვიდრ მიქელ კობახიძისთვის ორი ცხენის მოპარვა. სასწაულმოქმედი წმინდა გიორგის ხატის წინაშე დაუფიცებია ეჭვმიტანილს თავისი უდანაშაულობა. მეგრელი კაცი დარწმუნებული იყო, რომ ამგვარი ფიცის დადების შემდეგ, წმინდა გიორგი აუცილებლად გაარკვევდა სიმართლეს. ცილისწამების შემთხვევაში ცხენის მოპარვის დამ-

წამებელს უნდა ეკისრა: წმინდა გიორგისთვის ორი ცხენის მიყვანა, ფულადი შესაწირი ერთი თუმანი ოქროთი, ერთი ხარი, ერთი ვაცი, ხუთ-ხუთი მანეთი მღვდლისთვის, დიაკვნისთვის და მეხატულისთვის. თვით ეჭვმიტანილისთვის ანუ ამ შემთხვევაში მიქელ კობახიძისთვის უნდა მიეყვანა დაკარგული ცხენების მსგავსი ცხენები, ხელის შემოსავლები, ე. ი. ცილის მწამებლის დასალოცად: „უნდა მოგვცეს მე, ჩემს ცოლს და ჩემს შვილს - თითო თუმანი თითოეულს“ (სახოკია, 1956: 108). ფიცის დადების დამსწრეებს 14 კაცს ხელის შემოსავლები - თითო მანეთი და 3 მანეთი დიაკვანს. როგორც ირკვევა, ცილისმწამებელს ძალიან ძვირი უჯდებოდა მთელი ეს პროცედურა და „მოფიცარიც წმ. გიორგისაგან მოსალოდნელი რისხვისა და სასჯელის შიშით ვერ გაბედავდა ტყუილათ დაფიცვას“ (სახოკია, 1956: 108). საბოლოო ჯამში, თუ დამნაშავეს ვერასგზით ვერ ადგენდნენ, მიმართავდნენ წმინდა გიორგის ხატზე გადაცემის ზემოთ აღწერილ რიტუალს და იდუმალი დამნაშავე აუცილებლად გამოჩნდებოდა აღიარებით ხატისა და დაზარალებული მხარის წინაშე.

ფიცთან დაკავშირებით ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში არსებობს ერთი საინტერესო მოსაზრება. სვანურში არსებობს ფიცის აღმნიშვნელი ტერმინი „მაღვრა“ - ფიცი. გიორგი ნადარეიშვილის აზრით, მაღვრა თვითწყევლის ფორმაა და მეგრულიდან უნდა მომდინარეობდეს. ესე იგი თუ ტყუილად დავიფიცო - მე მოვკვდეო. გიორგი ნადარეიშვილის ვარაუდით, აღნიშნული *მაღვრა* უფრო ძველია, ვიდრე ფიცი და „ფუჩ“ი, რომელიც დაახლოებით 2300 წლისაა. ძალიან საინტერესოდ ჟღერს სვანურად წმინდა გიორგი - *ჯგრაგი*, რაც მეგრულ ვერსიაში კარგ გიორგის - ჯგირ გიორგის უნდა ნიშნავდეს. ფაქტი ფაქტად რჩება, ქართველებში გამორჩეულად უყვართ წმინდა გიორგი, მისი სწამთ, ეშინიათ, ერიდებათ, მას უამრავ სასწაულს მიაწერენ, რაც მითოლოგიაშიც სათანადოდ აისახა და რეალურ ცხოვრებაშიც არანაკლები კვალი დატოვა ქართველთა ცნობიერებაში. არ მაგონდება არც ერთი წმინდანი, გარდა წმინდა გიორგისა, რომლის ხატზე გადაცემული დამნაშავე უსათუოდ აღიარებდეს ჩადენილს. მრავალ ხატზე გადასცემდნენ დამნაშავეს, მაგრამ წმინდა გიორგი ყველაზე გამორჩეულია მათ შორის. წმინდა გიორგისადმი რწმენა იმდენად ღრმაა, რომ დამნაშავეს ვერც კი წარმოედგინა ტყუილად ფიცის დადება. საინტერესო ისტორია უკავშირდება 363 წმინდა გიორგის, საქართველოში ხომ კუთხე არ არსებობს, სადაც წმინდა გიორგის სასწაულმოქმედი ტაძარი და ხატი არ ბრძანდება. ძველი თქმულების თანახმად, წმინდა გიორგი „ქაჯებს ტყვედ ჩავარდნია. უთქვამთ ეს წმინდანია და უნდა გამოვცადოთო. სამი დღე და ღამე წისქვილის ბორბალზე მიუკრავთ, უტანჯიათ და მაინც ვერ მოუკლავთ, „საკირეში ჰყოლიათ ჩაგდებული, არ დამწვარა, მერე სამას სამო-

ცდასამ ასოდ დაუჭრიათ: ახლაც არ მოკვდებიო? ბოლოს ანგელოზებად შეიმოსა ყველა ნაწილი, „ახლა ყველას თავ-თავისი სახელი ჰქვია და ყველანი წმინდა გიორგის ნაწილები არიან და მისი მოძმეები: კოპალა, ლაშარი, ხახმატი, ლაღი, იახსარიც“ (კიკნაძე, 2004: 76). ჩამონათვალს აქ ვერ შევწყვეტდი: ილორის წმინდა გიორგი, ალერტის წმინდა გიორგი, ხეთის წმინდა გიორგი, სარკის წმინდა გიორგი, უყულლაშის წმინდა გიორგი, ჩოხის წმინდა გიორგი, ძარწემის წმინდა გიორგი, ბოჭორმის წმინდა გიორგი, გლოლის წმინდა გიორგი, ლანჩხუთის წმინდა გიორგი, ლენჯერის წმინდა გიორგი, ლატალის წმინდა გიორგი, მუხურის წმინდა გიორგი და მრავალი მრავალი სხვა - ყველა ქართულია, ყველა ამ სიწმინდეს ისეთ დიდ პატივს სცემენ საქართველოში, რომ ავაზაკიც კი, ამ სასწაულმოქმედ ხატებზე დაფიცებისას ტყუილს არ იკადრებს და ხატზე გადაცემული იდუმალი დამნაშავე აღიარებს ჩადენილს. და ბოლოს წმინდა გიორგის სამართლიანობაზე მინდა ვთქვა ორიოდ სიტყვა, მოვიშველიებ ვაჟა-ფშაველას ერთ ნაწარმოებს ბალადას „თეთრო გიორგი შვილი რა მიყავ“. ქართველს უყვარს წმინდა გიორგი, მართლმსაჯულადაც იყენებს მას,მოწმედაც, ლოცულობს მასზე და ეიმედება, მაგრამ საოცარია ვაჟა-ფშაველას მიერ დახატული სახე წმინდა გიორგისა, რომელსაც არ უნდა შვილდაკარგულმა დედამ პირი იბრუნოს მისგან, სალოცავად წასულ დაკარგულ შვილს უბრუნებს „ჰა შენი შვილი სასომიხდილო, ოღონდ ნუ დამგმობ, ნუ გამცვლი სხვაზე,“ ეუბნება წმინდა გიორგი დედას. თეთრი გიორგი, ასე ახასიათებს მთაში გაზრდილი ქართული პოეზიის გენია წმინდა გიორგის: „თეთრცხენიანი კაცი სდგას კარზე, ლამაზი იყო როგორც სამოთხე, გუგა სინათლის გარს ევლო ტანზე“ (ვაჟა-ფშაველა).

გამოყენებული ლიტერატურა:

ბოროზდინი (1854-1861). კორნელი ბოროზდინი. სამეგრელო და სვანეთი 1854-1861 წწ. მოგონებანი. ტფილისი, გამომცემლობა „სახელგამი“;

გაბისონია (1996). ლალი გაბისონია. სამეგრელოს სამთავროს საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობა და სამართალი. თბილისი;

გაბისონია (2005). ლალი გაბისონია. სამეგრელო. საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობისა და სამართლის ისტორია. ტ. 1. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი;

დავითაშვილი (1998). გიორგი დავითაშვილი. სასამართლო მტკიცებულებანი ხევსურულ ჩვეულებით სამართალში. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“;

ვახუშტი (1941). ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. საქართველოს გეოგრაფია. რედაქტორები თ. ლომოური, ნ. ბერძენიშვილი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

ლამბერტი (1938). არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თარგამანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი - მეორე გამოცემა - ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით, თბილისი;

მაკალათია (1941). სერგი მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოება, თბილისი;

ნადარეიშვილი (1997). გიორგი ნადარეიშვილი. ფეოდალური ხანის ქართულ ისტორიაში ისტორიულ-იურიდიული საბუთების ორი კლაუზულის შესახებ. უჯვარობით დამტკიცება და ამავალი კაცი. ჟურნალი „მნათობი“, N5-6;

სახოკია (1950). თედო სახოკია. მოგზაურობანი. გურია. აჭარა. სამურზაყანო. აფხაზეთი. თბილისი, გამომცემლობა „სახელგამი“;

სახოკია (1956). თედო სახოკია. ეთნოგრაფიული ნაწერები. სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა. თბილისი. https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/313691

ქჩს (1998). ქართული ჩვეულებითი სამართალი. ტ. 4. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი.

კიკნაძე (2004). ზურაბ კიკნაძე. ქართული მითოლოგია. მითოლოგიური ლექსიკონი ყმაწვილთათვის. თბილისი.